



**საქართველოს  
განათლების  
და მასწავლებლის  
საინისტრო**

## პრესრელიზი

საზოგადოებასთან ურთიერთობის  
დეპარტამენტი  
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52  
ტელ: 957 326 ფაქსი: 957 010  
ელ.ფოსტა: [pr@mes.gov.ge](mailto:pr@mes.gov.ge)  
საკონტაქტო პირი: ნანა ნასყიდაშვილი,  
ქეთი კვიციანი

[www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)

2.10.07 დაუყოვნებლივი  
გავრცელებისთვის

## ორგანიზაცია "Freedom House" საქართველოში მიმდინარე რეფორმებს მაღალ შეფასებას აძლევს

ორგანიზაცია "Freedom House"-მა საქართველოს შესახებ საანგარიშო მოხსენება გამოაქვეყნა, რომელშიც ძირითადი აქცენტი კორუფციის აღმოფხვრაზე კეთდება.

კვლევაში აღნიშნულია განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელობა. "უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების რეფორმამ შეამცირა კორუფცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გაზარდა საზოგადოების ნდობა უმაღლესი განათლების სისტემისადმი" - ნათქვამია ნაშრომში.

საინტერესოა საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის შედარება. მაშინ როდესაც, საქართველოში კორუფციის აღმოსაფხვრელად კომპლექსური ზომები იქნა გატარებული, "Freedom House"-ის შეფასებით, რუსეთში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პროგრესის ნაკლებობა შეიმჩნევა. რუსეთში კორუფცია გავრცელებულია როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესის სფეროში. ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთში სწრაფად გაიზარდა ბიუროკრატია და ქრთამის აღების შესაძლებლობა, რასაც მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მონაცემებიც ადასტურებენ.

"Freedom House"-ის შეფასებით საქართველოს ხელისუფლება არ ზღუდავს აკადემიურ თავისუფლებას.

საქართველო აქტიურადაა ჩაბმული ბოლონის პროცესშიც მაშინ, როცა რუსეთში პრაქტიკულად არ არსებობს ამ თემისადმი ინტერესი.

*Freedom House დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნებიდან (1941 წ.) დღემდე მხარს უჭერს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას მთელს მსოფლიოში. ის კომპეტენტური ინფორმაციის წყაროა ისეთ საკითხებზე, როგორცაა თავისუფლება მსოფლიოში, პრესისა და სიტყვის თავისუფლება, გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნები და ა.შ.*